განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: **შორენა ხუბუნაია,** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

წევრები:

**დალი კალაძე,** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

**ბარბარე გოწაშვილი,** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2018*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: **მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **206156817**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 26 სექტემბრის №872-ე ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია (ჯგუფის თავმჯდომარე), დალი კალაძე (ჯგუფის წევრი), ბარბარე გონაშვილი (ჯგუფის წევრი), 2018 წლის 8, 9 და 10 ოქტომბერს განახორციელა ვიზიტი შპს - მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროცესების შესრულების შესაბამისობა შიდა მარეგულირებელ და სამართლებრივ აქტებთან, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება **საფინანსო სერვისების, პრაქტიკოსი ექთნისა** და **ფარმაციის (საფთიაქო)** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ზემოხსენებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადამოწმდა საგანმანათლებლო და ადამიანური რესურსები და განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| მდგომარე ობა | სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა | საგანმანათლებლ ო პროგრამების რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | შენობა-ნაგებობების ფართი | მისამართების რაოდენობა დამდებარეობა |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი | 1-20 | 1-5 | 1-20 | 1-500 კვ.მ. | ერთ მისამართზე |
| არსებული | 21-50 | 6-10 | 21-50 | 501-1500 კვ.მ. | სხვადასხვამისამართ ზე ერთ მუნიციპალიტეტში |
| | 51-150 | 11-15 | 51-100 | 1501-3000 კვ.მ. | სხვადასხვამუნიციპა ლიტეტში |
| | 151-500 | 16-20 | 101-150 | 3000-5000 კვ.მ. | |
| | 501 დამეტი | 21 დამეტი | 151 დამეტი | 5001 დამეტიკვ.მ. | |

დაწესებულების ფაქტობრივი მონაცემები შესაბამისობაშია სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში ასახულ ინფორმაციასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | □ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | | | |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | □ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | □ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | □ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | □ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | □ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | □ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | □ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2018*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მიღების ინტერესი; | | | |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | □ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | □ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | □ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, პარტნიორი დაწესებულებებისათვის უფასოდ ატარებს ტრენინგს პირველად გადაუდებელ დახმარებაში, რითაც ახდენს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულება

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

**სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამები**

**ქვესტანდარტი 1.6. - დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

<u>რეკომენდაცია:</u>
შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის შიდა პროცესების ხარისხის გაძლიერების მიმართულებით, სასურველია ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობაზე პირის აყვანა, რაც ექსპერტთა აზრით, დადებითად აისახება დაწესეულების მენეჯმენტისა და ხარისხის კომპონენტის განვითარებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VII. დაწესებულების მისია

მაღალხარისხიანი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამისად კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური, პროფესიონალი პეციალისტების მომზადება;

ქმედითი, თანმიმდევრული ღონისძიებების გატარება საგანმანათლებლო დაწესებულების უწყვეტი თვითგანვითარებისათვის;

სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება;

პროფესიული განათლების მიღების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; განათლების ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა;

ზრუნვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## სტანდარტების შეფასება

# 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს - მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი არის კოლეჯის დირექტორი, რაც განსაზღვრულია დაწესებულების დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით. **ფარმაციის (სააფთიაქო)** მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 16 ივნისის №21 ბრძანებით, **პრაქტიკოსი ექთნის** მეხუთე საფეხურისა და **საფინანსო სერვისების** მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 4 მარტის №15 ბრძანებით.

დაწესებულების დებულების მე-4 თავი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს. წარმოდგენილია სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დასაბუთება, რაც ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დაწესებულების შესაძლებლობებს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თავისებურებებთან დაკავშირებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. ამასთან, სასწავლო გეგმა აგებულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია წინმსწრები მოდულის სწავლების შედეგების განმეორებით დადასტურების შესაძლებლობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 9 ოქტომბრის №53-ე ბრძანებით, შეტანილ იქნა ცვლილებები კოლეჯის დებულების 33-ე მუხლში და გაიწერა შშმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას არ ჰყოლია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტები.

დაწესებულების დებულების 33-ე მუხლით დარეგულირებულია მიღებული განათლების აღიარების პროცედურა. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სტატუსაღდგენილი პირებისათვის არ დამდგარა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების საჭიროება. წარმოადგინა გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, რომელშიც განთავსებული იყო სამუშაო ჯგუფის მიერ აღიარებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შედარების აქტი), ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მეცადინეობის განრიგი. სამუშაო ჯგუფში ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელთან ერთად, შედიოდა პროგრამის ხელმძღვანელი და დარგის სპეციალისტი. კრედიტების აღიარება განხორციელებულია დაწესებულების მიერ დადგენილი პროცედურების მიხედვით.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას არანაკლებ პროგრამის ხანგრძლივობის ვადის დაცვით, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან:

**1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია (საafთიაქო)**

| N | პრაქტიკის ობიექტის დასახელება | პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულები/კომპონენტები |
|---|---|---|
| 1. | **შპს „პსპ“ ფარმა**<br>ხელშეკრულება N19-18, 24.07.2018<br>2025 წლის 1 იანვრამდე | **შემდეგი მოდულების თეორიულ-პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება:**<br>1. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში<br>2. მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება- შეფუთვა, მარკირება<br>3. პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება<br>4. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში<br>5. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2018*

| | | |
|---|---|---|
| | | ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა<br>6. მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა<br>7. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა<br>8. მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა |
| 2. | **შპს აფთიაქი „კრწანისი“**<br>ხელშეკრულება N15-18, 22.06.2018<br>3(სამი) წლის ვადით | **პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:**<br>1.სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება<br>2.მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება |
| 3. | **შპს „აფთიაქი N34“**<br>ხელშეკრულება N18-18, 16.07.2018<br>3(სამი) წლის ვადით | **პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:**<br>1. ნევროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა<br>2. თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა |
| | | **პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:**<br>1. სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება<br>2. მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება |

**2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - პრაქტიკოსი ექთანი**

| N | პრაქტიკის ობიექტის დასახელება | პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულები/კომპონენტები |
|---|---|---|
| 1. | **სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“**<br>ხელშეკრულება N1-17/3-18, 03.01.2018<br>3(სამი) წლის ვადით | **პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:**<br>1. ონკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა<br>2. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა საექთნო მართვა<br>3. პალიატიური პაციენტის საექთნო მართვა |
| 2. | **სსიპ „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოიის სამეცნიერო** | **პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:**<br>1. ინფექციის კონტროლი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2018*

| | | |
|---|---|---|
| | **პრაქტიკული სამეცნიერო ცენტრი**<br>ხელშეკრულება N5-15, 21.08.2015<br>5(ხუთი) წლის ვადით | 2. ინფექციური პაციენტის საექთნო მართვა |
| 3. | **შპს გადაუდებელი ნევროლოგიის კლინიკა „ნევროლოგი“**<br>ხელშეკრულება N5-18, 8.01.2018<br>3(სამი) წლის ვადით. | **პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:**<br>1. ნევროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა<br>2. თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა |
| 4. | **შპს „დავით გაგუას კლინიკა“**<br>ხელშეკრულება N1-17, 30.10.2017<br>3(სამი) წლის ვადით. | **პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:**<br>1. გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა<br>2. პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა |
| 5. | **შპს „ვივამედი“**<br>ხელშეკრულება N2-18/6-18, 16.01.2018<br>3(სამი) წლის ვადით. | **პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:**<br>1. გაცნობითი პრაქტიკა<br>2. საწარმოო პრაქტიკა<br>3. პრაქტიკული პროექტი<br>4. თერაპიული პაციენტის საექთნო მაართვა<br>5. ქირირგიული პაციენტის საექთნო მაართვა<br>6. თავისა დაკისრის პათოლოგიებით პაციენტის საექთნო მაართვა<br>7. საექთნო პროცედურები და მანიპულაციები<br>8. საოპერაციო ბლოკის ექთნის საქმე |
| 6. | **შპს „კლინიკა მცხეთის ქუჩაზე“**<br>ხელშეკრულება N2-16, 21.09.2016<br>5(ხუთი) წლის ვადით | **მოდულების სრული განხორციელება:**<br>1. მუშაობის სპეციფიკა სამედიცინო ლაბორატორიებსა და დიაგნოსტიკის ცენტრებში<br>2. ენდოკრინული პაციენტის საექთნო მართვა |
| 7. | **შპს „კანისა და ბენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი“**<br>ხელშეკრულება N9-18, 23.03.2018<br>3(სამი) წლის ვადით. | **მოდულის თეორიულ-პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება:**<br>**1.** დერმატო-ვენეროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა |
| 8. | **ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“**<br>ხელშეკრულება HD-C-113/7- | 1. ავადმყოფის მოვლა<br>2. რეაბილიტაცია საექთნო საქმეში<br>**მოდულების სრული განხორციელება** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | **1802/09/2017** 3(სამი) წლის ვადით. | |
| 9. | **შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“**<br>ხელშეკრულება №23-18, 27.09.2018 (ორი წლის ვადით) | **პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მოდულებში:**<br>1. გაცნობითი პრაქტიკა<br>2. საწარმოო პრაქტიკა<br>3. თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა<br>4. ქირურგიული პაციენტის საექთნო მაართვა<br>5. საექთნო პროცედურები და მანიპულაციები<br>6. პირველადი გადაუდებელი დახმარება ავადმყოფის მოვლა |
| 10. | **შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“**<br>ხელშეკრულება №17-18, 09.07.2018 (5 წელი) | **პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მოდულებში:**<br>1. გაცნობითი პრაქტიკა<br>2. საწარმოო პრაქტიკა<br>3. თერაპიული პაციენტის საექთნო მაართვა<br>4. ქირურგიული პაციენტის საექთნო მაართვა<br>5. საექთნო პროცედურები და მანიპულაციები<br>6. პირველადი გადაუდებელი დახმარება<br>7. ავადმყოფის მოვლა |

**3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საფინანსო სერვისები**

- შპს „ალტასოფთვეარი“, ხელშეკრულების (№12032018-01/8-18, 12.03.2018) საფუძველზე თანამშრომლობს საბანკო სწავლების პროგრამით - „ალტა“ უზრუნველყოფის მიმართულებით.

| პრაქტიკის ობიექტის დასახელება | | პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებული მოდულები/კომპონენტები |
|---|---|---|
| 1. | **„საქართველოს ბანკების ასოციაცია“**<br><br>ხელშეკრულება N14-18, 12.04.2018<br>3 (სამი) წლის ვადით | **პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:**<br>1.გაცნობითი პრაქიკა<br>2.საწარმოო პრაქტიკა<br>3.ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2018*

| | | |
|---|---|---|
| 2. | **სს „გუდვილი“**<br>ხელშეკრულება N 10-18, 29.03.2018<br>3 (სამი) წლის ვადით | **პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:**<br>1. გაცნობითი პრაქტიკა -საფინანსო სერვისები<br>2. სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი<br>3. საწარმოო პრაქტიკა-საფინანსო სერვისები |
| 3. | **შპს „საბანკო სწავლების ცენტრი“**<br><br>ხელშეკრულება N 13-18, 12.04.2018<br>3 (სამი) წლის ვადით | **პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:**<br>1. გაცნობითი პრაქიკა<br>2. საწარმოო პრაქტიკა<br>3. ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები |
| 4 | **სს „ლიბერთი ბანკი“**<br>1 (ერთი) კალენდარული წლის ვადით<br><br>ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება 2061568/20092018<br>N 22-18, 20.09.2018 | **პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შემდეგი მოდულების ფარგლებში:**<br><br>1.საწარმოო პრაქტიკა |

სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია, ტექსტში არ იკითხება სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები.

პროფესიული სტუდენტების შეფასების წესი გაწერილია დაწესებულების დებულების 28-ე მუხლით და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა სტუდენთა შეფასების მტკიცებულებები, შეფასების უწყისები და პორტფოლიოები, რაც შესაბამისობაშია მოდულის სწავლის შედეგებთან.

ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დაშვებული იყო ტექნიკური უზუსტობა კრედიტთა საერთო მოცულობის დაჯამებისას, რაც ვიზიტის პერიოდში გასწორდა დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 9 ოქტომბრის №52-ე ბრძანებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა გასაუბრება კოლეჯში, პრაქტიკის ობიექტების შემდეგ წარმომადგენლებთან:

- შპს „საბანკო სწავლების ცენტრი“, დირექტორი
- სს „გუდვილი“, ტრენინგცენტრის ხელმძღვანელი
- შპს „პსპ ფარმა“, წარმომადგენელი

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის შემდეგ ობიექტებზე:

- შპს „დავით გაგუას კლინიკა“
- შპს „ვივამედი“
- შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა პრაქტიკის ობიექტები და შემოწმდა სამუშაო პირობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ობიექტებზე ნამდვილად არის შექმნილი ყველა პირობა სტუდენტთათვის თეორიული ცოდნის მიღების და პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის.

პრაქტიკის ობიექტზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის კოლეჯს ჰყავს ორი კოორდინატორი, ერთი უშუალოდ ობიექტის ბაზაზე, ხოლო მეორე კოორდინატორი კოლეჯის წარმომადგენელია. ორივე კოორდინატორი ერთმანეთთან თანამშრომლობით, ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას, შეფასებას და პრაქტიკის დღიურების წარმოებას. პრაქტიკის დღიურები, გარდა დღის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების აღწერითი ნაწილისა, შეიცავდა ფოტო და ბეჭდურ მტკიცებულებებს ცალკეულ პროცედურებთან დაკავშირებით, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადებითად შეფასდა. პრაქტიკის კოორდინატორები ანაწილებენ პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა განყოფილებებში და აწარმოებენ მათი გამოცხადების ყოველდღიურ აღრიცხვას.

პრაქტიკის კოორდინატორები იცნობენ მოდულური სწავლების მიდგომებს, მოდულების სწავლის შედეგებს, პროფესიულ საგანმანათლელო პროგრამას და დადებითად აფასებენ სწავლების ამ მიდგომით მიღებულ პროფესიულ განათლებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება 4 პროფესიულ სტუდენტთან და 2 კურსდამთვრებულთან. სტუდენტები იცნობენ სწავლებისა და შეფასების მიდგომებს. მათ მიერ დეტალურად იქნა აღწერილი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესი. ინტერვიურებაზე წარმოდგენილი კურსდამთავრებულები იყვნენ დასაქმებულები იმ კლინიკებში, სადაც გაიარეს პრაქტიკული კომპონენტი. სტუდენტები და კურსდამთვრებულები გამოხატავენ კმაყოფილებას კოლეჯის ადმინისტრაციისა და პერსონალის მიმართ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სამივე კოორდინატორთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან (სულ 7 პირი). პერსონალი იცნობს პროგრამებს, მოდულებს, აქვთ მოდულების სწავლების გამოცდილება, მათ შორის სწავლებასა და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომებზე. დარგობრივ კონტექსტში გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა მიერ მიღებულ იქნა ინფორმაცია პროგრამის სრულყოფილად განხორციელების თაობაზე.

კოლეჯი აწარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს, სადაც შეტანილი აქვს ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული სტუდენტების (მათ შორის: აქტიური სტატუსის, სტატუსშეჩერებულის, სტატუსშეწყვეტილის, კურსდამთავრეულების შესახებ), პროფესიული საგანმანათლელო პროგრამების განმახორციელებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულებით (ბრძ. №9, 01.03.2018);
- ✓ შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის 2018 წლის 16 ივნისის №21 ბრძანებით ფარმაციის (სააფთიაქო) მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- ✓ შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის 2018 წლის 4 მარტის №15 ბრძანებით პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურისა და საფინანსო სერვისების მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით:
  - ფარმაცია (სააფთიაქო)
  - პრაქტიკოსი ექთანი
  - საფინანსო სერვისები
- ✓ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებებით (ნამუშევრები), უწყისებით;
- ✓ მემორანდუმებით/ხელშეკრულებებით პრაქტიკის შესახებ;
- ✓ www.evet.emis.ge;
- ✓ ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (2017-2018), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ, რომელთა განხორციელების უფლება აქვს, ხოლო, ანონსის სახით მითითებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელებები, რომელთა განხორციელების სურვილი აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

გარდა საგანმანათლებლო დაწესებუებების ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციისა, დაწესებულების მიერ შემუშავებული კატალოგი მოიცავს ინფორმაციას კოლეჯის სერვისების, მათ შორის მოკლევადიანი პროგრამებისა და პარტნიორი დაწესებულებების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით (2017-2018);
2. ვებგვერდით - https://imediprof.edu.ge

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის 2018 წლის 16 ივნისის №21 ბრძანებით დამტკიცებული ფარმაციის (სააფთიაქო) მეხუთე საფეხურის, 2018 წლის 4 მარტის №15 ბრძანებით დამტკიცებული პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურისა და საფინანსო სერვისების მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით:
- ფარმაცია (სააფთიაქო)
- პრაქტიკოსი ექთანი
- საფინანსო სერვისები

✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით;

✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულების მე-5 თავი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების წესებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან, მათ შორის გათვალისწინებულია უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენლის დადასტურების პირობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა აქტიური სტატუსის მქონე, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და მობილობით გადმოსული, მათ შორის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე ჩარიცხული და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები. დაწესებულება იცავს შიდა რეგულაციასა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პირად საქმეებში განთავსებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, მშობლის პირადობის მოწმობა, პროფესიული სტუდენტის დაბადების მოწმობა, ხელშეკრულება ხელმოწერილია კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულებით (ბრძ. №9, 01.03.2018);
- ✓ პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეებით;
- ✓ ინტერვიუს შედეგით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის დებულების მე-4 თავის მე-20 მუხლი არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა/გაუქმებას. რის მიხედვითაც, დაწესებულების მიერ გაუქმებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ უკვე გავლილი მოდულების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შესაბამისად, დაწესებულების მიერ დადგენილი წესით. ხოლო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობის განსაზღვრას არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებს შორის. შეცვლილი პროფესიული საგანამათლებლო პროგრამის შემთხვევაში, დაწესებულება სტუდენტთან შეთანხმებით, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში,

სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სთავაზობს გარე მობილობას, რისთვისაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთანამშომლობის შესახებ, შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

- საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

✓ შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულებით (ბრძ. №9, 01.03.2018);
✓ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმით/ხელშეკრულებით;
✓ ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის 2018 წლის პირველი მარტის №11 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომელიც ითვალისწინებს **დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე** ციკლს. აღნიშნული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ხარისხის მენეჯერი, თუმცა ამ ფუნქციას ასრულებს კოლეჯის დირექტორი. დირექტორის მიერ ხორციელდება როგორც სტუდენტების, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. დაწესებულებამ წარმოადგინა დასაქმების მაჩვენებლების შესახებ კვლევის შედეგები.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორი, შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს მოდულის განმახორციელებელი პირების მხარდაჭერას კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიმართულებით, მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვებს და შედეგების ანგარიშების მომზადებას. კოლეჯის დირექტორთან გასაუბრებისას ცნობილი გახდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და სტუდენტთა საჭიროებები გათვალისწინებულ იქნა დირექტორის მიერ (მაგალითად, დამეტებითი რესურსის შეძენა, პრაქტიკის ობიექტის ცვლილება).

<u>რეკომენდაცია:</u>
შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის შიდა პროცესების ხარისხის გაძლიერების მიმართულებით, სასურველია ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობაზე პირის აყვანა, რაც ექსპერტთა აზრით დადებითად აისახება დაწესეულების მენეჯმენტისა და ხარისხის კომპონენტის განვითარებაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შიდა მარეგულირებელი აქტი - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით (01.03.2018, №11 ბრძანება);
- ✓ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანებით (12.09.2017, №30);
- ✓ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის გეგმით, ოქმებით;
- ✓ ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაოს აღწერილობით (კოლეჯის დებულება, მუხლი 11);
- ✓ ონლაინ კითხვარებით
  https://docs.google.com/forms/d/1NMWTRgrU69HTCYdMF4HcAzNFTroN21TrE1YG-XVkr5k
  https://docs.google.com/forms/d/1kBiVZdv2M-tYBqGdBQQqEB60lGaBRSaSCWIYk-5F698
  https://goo.gl/forms/X1DxfguxsoQvjG2y2
- ✓ ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. მატერიალური რესურსი**

**2.1** დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს - მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე 5 წლის ვადით, შენობის მე-2 სართულზე მფლობელობაში აქვს 650 კვ.მ. ფართი (ამონაწერი რეესტრიდან № [redacted], საკადასტრო კოდი № [redacted]).

კოლეჯის ფართი მოიცავს სასწავლო აუდიტორიებს, ბიბლიოთეკას, სამედიცინო ოთახს და ადმინისტრაციისა და მასწავლებელთათვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეს. ფართი კეთილმოწყობილია და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №12 | 650 |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საიჯარო ხელშეკრულებით №17/12/22-001, (ამონაწერი რეესტრიდან № [redacted]). საკადასტრო კოდი № [redacted];
- ✓ შენობა-ნაგებობების ოფიციალური აზომვითი ნახაზებით (საკადასტრო გეგმა);
- ✓ მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ✓ ინვენტარიზაციის აქტით.

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სასწავლო ფართი, რის მიხედვითაც:
**- პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული** საგანმანათლებლო პროგრამის **A(1) გარემოში** ფართი შეადგენს 50.57კვ.მ. და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

1. პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1 კომპლექტი
2. პროექტორი/ეკრანი - 1ცალი
3. დაფა/ფლეფჩარტი - 1ცალი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიული მასწავლებლის მაგიდა - 1ცალი
5. პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 24 ადგილი
6. სკამი - 26ცალი

**B (1) გარემო** აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

1. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 20
2. მასწავლებლის კომპიუტერი 1კომპლექტი , მონიტორი -1ცალი
3. პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 20 კომპლექტი
4. პრინტერი კომბაინი - 1ცალი

**C (1)გარემოში** - ფართი 51.75 კვ.მ. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 24; C გარემო აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით.

**- საფინანსო სერვისების** საგანმანათლებლო პროგრამის:

**A (2) გარემოში** - ფართი 36.14 კვ.მ.

1. პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი 1ც
2. პროექტორი/ეკრანი 1ც
3. დაფა/ფლეფჩარტი 1ც
4. პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1ც
5. პროფესიული სტუდენტის მაგიდა 20 ადგილი
6. სკამი 21ც

**B(2) გარემოში:**

1. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა 14;
2. მასწავლებლის კომპიუტერი - 1 კომპლექტი, მონიტორი -1ცალი, ჩატვირთულია კომპიუტერული პროგრამა „ალტა“
3. პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 14 კომპლექტი, ჩატვირთულია კომპიუტერული პროგრამა „ალტა“
4. პრინტერი კომბაინი -1ცალი.

**- ფარმაციის (სააფთიაქო)** საგანმანათლებლო პროგრამის:

**A (3) გარემოში** - ფართი 35.07 კვ.მ.

1. პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1 კომპლექტი
2. პროექტორი/ეკრანი - 1ცალი
3. დაფა/ფლეფჩარტი - 1ცალი
4. პროფესიული მასწავლებლის მაგიდა - 1ცალი
5. პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 20 ადგილი
6. სკამი - 21ც

**B (1) გარემო** აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

1. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 20

2. მასწავლებლის კომპიუტერი 1 კომპლექტი, მონიტორი -1ცალი
3. პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 20 კომპლექტი
4. პრინტერი კომბაინი - 1ცალი

**C(2) გარემოში** - ფართი 64.10 კვ.მ. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 20. C გარემო აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ✓ ინვენტარიზაციის აქტით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს - მრავალპროფილიან საზოგადოებრივ კოლეჯ იმედში არსებობს ელექტროენერიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. დაწესებულებას აქვს მრიცხველი და კომუნალურ გადასახადს (მოხმარებული ელექტრო ენერგიისა და წყლის მიხედვით) უხდის მოიჯარეს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საგადახდო დავალება, ანგარიშ-ფაქტურა). კოლეჯში არსებობს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და სველი წერტილები, სველი წერტილები გამიჯნულია (ქალისა და მამაკაცის). დაწესებულებას აქვს 12 ცალი ელექტრო გამათბობელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ელექტროენერგიისა და წყლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ✓ ელექტრო გამათბობელების შესყიდვის დოკუმენტებით;
- ✓ ინვენტარიზაციის აქტებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მათ შორის: ერთი კომპლექტი კომპიუტერი ბიბლიოთეკის მენეჯერისათვის, 2 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, 1 ცალი კომბაინი, 1 ცალი პრინტერი და 6 ცალი მაგიდის სანათი. წიგნადი ფონდი შეადგენს 2128 ერთეულს, მათ შორის: 1713 ერთეული სახელმძღვანელო, 104 - ენციკლოპედია, 311 - მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გაწერილია დაწესებულების დებულების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტით და გამოკრულია ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში არის ბეჭდური და ელექტრონული კატალოგები, მკითხველთა რეგისტრაციის ჟურნალი და მოქმედებს საბარათე სისტემა.

სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა, რაც დადასტურდა. საგანმანათლებლო რესურსის ნაწილი დაწესებულებაში არსებობს მატერიალურად, ხოლო ნაწილი ელექტრო მატარებლებზეა ჩაწერილი. საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულება ჩართულია ბიბლიოთეკის ელექტრონულ სისტემაში „Open Biblio."

ბიბლიოთეკას ემსახურება ბიბლიოთეკის ორი მენეჯერი, მათი კვალიფიკაცია შესაბამისია დაკავებულ თანამდებობასთან.

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაციით;
- ✓ ელექტრონული და ბეჭდური კატალოგებით;
- ✓ პროგრაფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსების სარეგისტრაციო ჟურნალით;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეებით;
- ✓ მკითხველის ბარათებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ფუნქციონირებს 2 კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია 34 (კომპლექტი) კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის და 2 (კომპლექტი) კომპიუტერი პროფესიული მასწავლებლისთვის. ბიბლიოთეკაში - 2 (კომპლექტი) კომპიუტერი პროფესიული სტუდენტიებისთვის, 1 (კომპლექტი) კომპიუტერი ბიბლიოთეკის მენეჯერისათვის და 1 პრინტერი (კომბაინი).

მასწავლებელებისთვის განკუთვნილია 7 (კომპლექტი) კომპიუტერი, ადმინისტრაციისთვის განკუთვნილია 3 (კომპლექტი) კომპიუტერი, 7 სასწავლო აუდიტორია აღჭურვილია ვიდეოდემონსტრირების ციფრული საშუალებით (1 მონიტორი და 6 პროექტორი), ადმინისტრაციის საქმიანობისთვის გამოიყენება 3 პრინტერი. სასწავლებელს უწყვეტი ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფს კომპანია მაგთიკომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კომპიუტერებისა და ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ✓ ინტერნეტ მომსახურების შესახებ მაგთიკომთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ✓ დომენის სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით;
- ✓ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, აქტიური სოციალური ქსელით;
- ✓ ინვენტარიზაციის აქტებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვას არეგულირებს შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწაროების წესი (ბრძ. N12, 01.03.2018), რომელიც შემუშავებულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის პირველი ივლისის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესების" საფუძველზე. დაწესებულებაში საქმისწარმოებზე პასუხისმგებელია საქმისწარმოების მენეჯერი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიუ საქმისწარმობის მენეჯერთან და გადამოწმდა:

- ➢ ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი
- ➢ ოქმების, აქტების რეგისტრაციის ჟურნალი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების რეგისტრაციის ჟურნალი
- პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლების განცხადებებისა რეგისტრაციის ჟურნალი
- ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი
- შიდა დოკუმენტაციის (სამსახურებრივი ბარათების, მოხსენებითი ბარათების და ა. შ.) რეგისტრაციის ჟურნალი
- მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის - დიპლომების რეგისტრაციის ჟურნალი
- სერტიფიკატების აღრიცხვის ჟურნალი

სარეგისტრაციო ჟურნალები აკინძული, ზონარგაყრილი და დანომრილია, დამოწმებულია კოლეჯის დირექტორის მიერ. დოკუმენტები აღრიცხული და რეგისტრირებულია შესაბამის ჟურნალებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შპს მრავალპროფილი კოლეჯი იმედის „საქმისწარმოების წესით" (01.03.2018, ბრძ. №12);
- ✓ ოქმების, აქტების რეგისტრაციის ჟურნალით;
- ✓ შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალით;
- ✓ გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალით;
- ✓ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების /მემორანდუმების რეგისტრაციის ჟურნალით;
- ✓ პერსონალის და მასწავლებლების განცხადებებისა და ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალით;
- ✓ მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის - დიპლომების რეგისტრაციის ჟურნალით;
- ✓ სერტიფიკატების აღრიცხვის ჟურნალით;
- ✓ ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებით;
- ✓ ინტერვიურების შედეგებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში არსებობს პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის შესაბამისი გარემო. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ცეცხლმაქრები განთავსებულია დერეფნის სამ ფლიგელში და ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, C გარემოში. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და მანიშნებელი მიმართულებები. 2018 წელს მომზადდა დაწესებულების პერიმეტრის ახალი აზომვითი ნახაზი, რომლის საფუძველზეც ქ.თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ შემუშავდა ახალი საევაკუაციო გეგმა. (მიღება-ჩაბარების აქტი - 08.02.2018 წ.). დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილია შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის საგანგებო შტაბი (საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები, ბრძ.N13, 01.03.2018 წ. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმების და ევაკუაციის გეგმის შესახებ). დაწესებულებაში დამონტაჟებულია ვიდოსამეთვალყურეო კამერები. დაცვის თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება.

პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, საზოგადოებრივ კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო ოთახი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის მიერ დანიშნული ექთანი.

უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები რეგულირდება შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულებით, მუხლი № 38.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი საფინანსო დოკუმენტაციით;
- ✓ ვიდეოკონტროლის აპარატურის შეძენის დოკუმენტაციით;
- ✓ ექთანთან და დაცვის თანამშრომელთან გაფორებული ხელშეკრულებებით;
- ✓ კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებით;
- ✓ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების გადაადგილებისათვის დამონტაჟებულია პანდუსები, დაწესებულებაში არსებობს ლიფტიც. შესაბამისი სველი წერტილი ადაპტირებულია. სსსმ და შშმ სტუდენტების შეუზღუდავად გადაადგილებისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა რეგულირდება შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულების 36-ე მუხლით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულებით (ბრძ. №9, 01.03.2018);
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ვებგვერდი **www.imediprof.edu.ge.** ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული ინფორმაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), დაწესებულების ისტორია და მისია, სტრატეგიული გეგმა, დაწესებულების სტრუქტურა, ბიბლიოთეკის კატალოგი, შიდა რეგულაციები, მიმდინარე სიახლეები. ჰოსტინგს უზრუნველყოფს კომპანია შპს „კავკასუს ონლაინი" (მაგთიკომი). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვიზიტით ვებგვერდზე **www.imediprof.edu.ge;**
- ✓ დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2018*

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში შემუშავებულია განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც გაწერილია სასწავლო წელზე/წლებზე. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან.

განვითარების გრძელვადიან (ექვსწლიანი) გეგმაში გაწერილია მიზნები, ამოცანები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები, ხოლო სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, განსაზღვრულია განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები, შესასრულებლად საჭირო რესურსები, პასუხისმგებელი პირები და შემსრულებლები. გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიულ სტუდენტთა შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობას (კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, კონფერენციები) და სხვა აქტივობებს.

დაწესებულებაში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 2 მარტის №14 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია".

კოლეჯის დირექტორის მიერ წარმოდგენილ იქნა წინა წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები, სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების მიერ დაგეგმილი აქტივობების სრულად შესრულების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვებგვერდზე განთავსებული მისიით;
- ✓ კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 2 მარტის № 14 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული გეგმით;
- ✓ კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 02 მარტის № 14 ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით;
- ✓ SWOT ანალიზით;
- ✓ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2018*

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3. ადამიანური რესურსი**

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაციის პერსონალის კვლიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. საკვლიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობრივი ინსტრუქციები გაწერილია შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულებაში (თავი II. მუხლი N 6 დან - N 9 მდე., თავი III . მუხლები N 10 დან - N 17 მდე ).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- ✓ პერსონალის პირად საქმეებში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეებით;
- ✓ შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულებით (ბრძ. №9, 01.03.2018).

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია და/ან სამუშაო გამოცდილება რეგულირდება შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულების მეორე თავით (მუხლი N 6 - N 9), მესამე თავით (მუხლი N10 - N17) და შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრმა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ, რაც დასტურდება მათი კვალიფიკაციით ან/და სამუშაო გამოცდილებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი 44 პირი, ხოლო მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული ოდენობა სულ არის 108, თანაფარდობა 108/44 შეადგენს 2,35-ს.

პროფესიული საგანმანათლელო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტთა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირთა თანაფარდობა შეადგენს:

**პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე**

- ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირი - 4
- დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი - 19
- კოლეჯის მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული ოდენობა - 40

თანაფარდობა 40/23 შეადგენს 1,7-ს

**ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე**

- ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირი - 4
- დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი - 14
- კოლეჯის მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული ოდენობა - 40

თანაფარდობა 40/18 შეადგენს 2,2-ს

**საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე**

- ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირი - 6
- დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი - 5
- კოლეჯის მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული ოდენობა (ფაქტობრივი გარემოებით) - 28

თანაფარდობა 28/11 შეადგენს 2,5-ს

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით (მომსახურების ხელშეკრულებები);
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა შესახებ რეესტრის მონაცემებით (**evet.emis.ge**);
- ✓ შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულებით (ბრძ. №9, 01.03.2018).

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2018*

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯის დებულების მე-3 თავის მე-9 მუხლის ზ) ქვეპუნქტის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის შერჩევას გასაუბრების საფუძველზე, ახორციელებს კოლეჯის დირექტორი და აფორმებს მათთან მომსახურების ხელშეკრულებას. პერსონალთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები არ შეიცავს ბუნდოვან და კანონმდებლობასთან შეუსაბამო ჩანაწერებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის დებულებით (ბრძ. №9, 01.03.2018)
- ✓ პერსონალთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებებით;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პრაქტიკოსი ექთანი | მეხუთე | პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552 | 126 | 156 | ქართული | თბილისი. რიჩარდ ჰოლბრუკის ქ.12. | 19 | 40 |
| 2 | ფარმაცია (სააფთიაქო) | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში. 090352 | 123 | 153 | ქართული | თბილისი. რიჩარდ ჰოლბრუკის ქ.12. | 0 | 40 |
| 3 | საფინანსო სერვისები | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456 | 51 | 66 | ქართული | თბილისი. რიჩარდ ჰოლბრუკის ქ.12. | 0 | 28 |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

22.10.2018

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: